

„ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა“

1. სპეციალობის დასახელება: ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა.

2. სპეციალობის შინაარსი:

ბავშვთა გადაუდებელი მედიცინა არის კლინიკური მედიცინის სპეციალობა, რომლის მიზანია ურგენტულად განვითარებული დაავადებების სიმპტომების, დაზიანების, ტრავმის დიაგნოსტიკა და მკურნალობა. გადაუდებელი დახმარება მოიცავს საწყის შეფასებას ანუ ტრიაჟს, დიაგნოსტიკას, მკურნალობას და პაციენტების სწრაფ სორტირებას ქირურგიული, თერაპიული, ფსიქიატრიული და სხვა პროფილების მიხედვით. ბავშვთა გადაუდებელი დახმარება გულისხმობს ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილ დახმარებას ბავშვთა (ახალშობილობიდან 18 წლის ჩათვლით) ასაკში განვითარებული დაზიანებების და სინდრომების დროს. გადაუდებელი დახმარების ერთეულში პაციენტების მართვა ხდება მაქსიმუმ 24 საათის განმავლობაში.

3. ზოგადი ცოდნა:

ბავშვთა გადაუდებელი დახმარების სპეციალისტმა უნდა უზრუნველყოს გადაუდებელი დახმარების ნიშნების დაუყოვნებლივ ამოცნობა, შეფასება, სტაბილიზაცია და დაავადების სიმწვავის და დაზიანების ხარისხის მიხედვით პაციენტების დისპოზიცია, გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის შემდეგ პაციენტის გაწერა ბინაზე ან, საჭიროების შემთხვევაში, მისი ჰოსპიტალიზაცია ჩვენების მიხედვით, შესაბამის დეპარტამენტში. ბავშვთა გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტს უნდა შეეძლოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი სისტემების მხრივ გამოვლენილი გადაუდებელი მდგომარეობებისა და სიმპტომების მართვა:

- ა) კარდიოვასკულური;
- ბ) დერმატოლოგიური;
- გ) ენდოკრინული და მეტაბოლური;
- დ) სითხისა და ელექტროლიტების დისბალანსი;
- ე) ყურის, ცხვირის, პირის, ნიკაპის დაზიანებები;
- ვ) გასტროინტესტინური ტრაქტი;
- ზ) ჰემატოლოგიური და ონკოლოგიური;
- თ) ალერგიული და იმუნური;

- ი) ინფექციური დაავადებები და სეფსისი;
- კ) კუნთოვანი და ორთოპედიული;
- ლ) ოფთალმოლოგიური;
- მ) ნევროლოგიური;
- ნ) ფსიქიური და ქცევითი დარღვევები;
- ო) ტრავმა;
- პ) შარდ-სასქესო;
- ჟ) ტოქსიკოლოგიური მდგომარეობები;
- რ) მწვავე მუცლის ტკივილი;
- ს) ზურგის ტკივილი;
- ტ) არატრავმული სისხლდენა;
- უ) გულის გაჩერება;
- ფ) გულმკერდის ტკივილი;
- ქ) დიარეა;
- ღ) დისპნეა;
- ყ) ცხელება;
- შ) თავის ტკივილი;
- ჩ) სიყვითლე;
- ც) კიდურების ტკივილი;
- ძ) გულყრა;
- წ) შოკი;
- ჭ) სინკოპე;
- ხ) ღებინება;
- ჯ) დიზურიული მოვლენები.

4. დაავადებები და მდგომარეობები:

ICD 10	პათოლოგია	საქმიანობის მოცულობა
A 00 – A 99 B 00 – B 99	ზოგიერთი ინფექციური და პარაზიტული დაავადებები	მართვა გადაუდებელი მედიცინის ერთეულიდან დისპოზიციაზე გადაწყვეტილების მიღებამდე
D 50 – D 89	სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებები და იმუნური მექანიზმით მიმდინარე ზოგიერთი დარღვევები	
E 00 – E 90	ენდოკრინული სისტემის, კვლევებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოვლენილი დარღვევები	
F 00 – F 99	ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	
G 00 – G 99	ნერვული სისტემის დაავადებები	
H 00 – H 59	თვალისა და მისი დანამატების ავადმყოფობები	
H 60 – H 95	ყურისა და დვრილისებრი მორჩის დაავადებები	
I 00 – I 99	სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები	
J 00 – J 99	სასუნთქი სისტემის დაავადებები	
K 00 – K 93	საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	
L 00 – L 99	კანისა და კანქვეშა ქსოვილების დაავადებები	
M 00 – M 99	ძვალ-კუნთოვანი სისტემის და შემადგენელი ქსოვილების დაავადებები	
N 00 – N 39	შარდ-სასქესო სისტემის დაავადებები	
P 00 – P 96	პერინატალურ პერიოდში განვითარებული ზოგიერთი მდგომარეობები	
R 00 – R 99	სიმპტომები, ნიშნები და ნორმიდან გადახრილი კლინიკური და ლაბორატორული მონაცემები, რომლებიც არ არის შეტანილი სხვა კლასიფიკაციებში	

S 00 – S 99 T 00 – T 98	დაზიანება, მოწამვლა და გარე მიზეზების ზემოქმედებები	
V 01 – Y 98	ავადობისა და სიკვდილობის გარე მიზეზები	

5. პრაქტიკული უნარ-ჩვევები:

ა) ზავშვთა გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტს შეუძლია შემდეგი კვლევის მონაცემების ინტერპრეტაცია:

- ა.ა) კლინიკური კვლევები
- ა.ბ) ბიოქიმიური კვლევები;
- ა.გ) სეროლოგიური გამოკვლევები
- ა.დ) იმუნოლოგიური კვლევები
- ა.ე) მიკრობიოლოგიური კვლევები
- ა.ვ) მოლეკულური კვლევები
- ა.ზ) მჟავა-ტუტოვანი ბალანსის კვლევა;
- ა.თ) სისხლის აირთა კვლევა;
- ა.ი) ელექტროლიტთა კვლევა;
- ა.კ) ელექტროკარდიოგრამა;
- ა.ლ) ექოკარდიოგრაფია;
- ა.მ) ელექტროენცეფალოგრაფია;
- ა.ნ) ულტრაბგერითი გამოკვლევა;
- ა.ო) რენტგენოსკოპია და რენტგენოგრაფია;
- ა.პ) კომპიუტერული ტომოგრაფია;
- ა.ჟ) ბირთვულ-მაგნიტური რეზონანსული კვლევა.

ბ) ზავშვთა გადაუდებელი მედიცინის სპეციალისტს შეუძლია შემდეგი ჩარევების-კვლევების შესრულება:

- ბ.ა) გულ-ფილტვის რეანიმაციის ტექნიკა იმ დროისთვის არსებული პროტოკოლის გათვალისწინებით;

- ბ.ბ) ახალშობილთა რეანიმაცია (პროტოკოლის გათვალისწინებით);
- ბ.გ) BLS - სიცოცხლის გადარჩენის საბაზისო ალგორითმი;
- ბ.დ) PALS - პედიატრიული სიცოცხლის გადარჩენის დახვეწილი ალგორითმი;
- ბ.ე) ACLS - დახვეწილი კარდიოვასკულური დახმარება;
- ბ.ვ) ATLS - ტრავმის დახვეწილი მართვა;
- ბ.ზ) სასუნთქი გზების გამავლობის უზრუნველყოფა;
- ბ.თ) ოქსიგენოთერაპია და სასუნთქი გზების სანაცია;
- ბ.ი) საინტუბაცო მილის/ტრაქეოსტომური მილის სანაცია;
- ბ.კ) ტომრით და ნილბით ვენტილაცია;
- ბ.ლ) ენდოტრაქეული ინტუბაცია;
- ბ.მ) სასუნთქი გზების შენარჩუნებისა და ვენტილაციის ალტერნატიული ტექნიკა (ლარინგეული ნილბის ჩადგმა);
- ბ.ნ) არაინვაზიური და ინვაზიური ვენტილაციის ტექნიკა;
- ბ.ო) ინჰალატორების, სპეისერების და ნებულაიზერების გამოყენება;
- ბ.პ) კარდიოვერსია და დეფიბრილაცია;
- ბ.ჟ) ადგილობრივი და რეგიონული ანესთეზია და პროცედურული სედაცია;
- ბ.რ) ტკივილის შეფასება, ტკივილის შკალის მიხედვით და ტკივილის მართვა;
- ბ.ს) პლევრის პუნქცია, დრენირება;
- ბ.ტ) კრიკოთირეოპუნქცია, კრიკოთირეოტომია;
- ბ.უ) სითხეებისა და სისხლის კომპონენტების ინფუზია;
- ბ.ფ) ეკგ და ცირკულაციის მონიტორინგი;
- ბ.ქ) პულსოქსიმეტრია;
- ბ.ყ) ამოსუნთქულ ჰაერში ნახშირორჟანგის განსაზღვრა;
- ბ.ჩ) ვაგუსური მანევრები;
- ბ.ც) გადაუდებელი პერიკარდიოცენტეზი;
- ბ.ძ) პერიფერიული და ცენტრალური ვენის პუნქცია და კათეტერიზაცია;
- ბ.წ) არტერიის პუნქცია და კათეტერიზაცია;

- ბ.ჟ) ძვალშიდა ინფუზია;
- ბ.ხ) ხერხემლის კისრის ნაწილის და მთელი სხეულის იმობილიზაცია;
- ბ.ჯ) ჩაფხუტის მოხსნა;
- ბ.ჰ) დაზიანებული კიდურის იმობილიზაცია;
- ბ.ჰ¹) არტაშანებით იმობილიზაცია;
- ბ.ჰ²) ამოვარდნილობებისა და დისლოკაციების ჩასწორება;
- ბ.ჰ³) რინოსკოპია;
- ბ.ჰ⁴) ლარინგოსკოპია;
- ბ.ჰ⁵) ოტოსკოპია;
- ბ.ჰ⁶) უცხო სხეულის ამოღება სასუნთქი გზებიდან;
- ბ.ჰ⁷) უცხო სხეულის ამოღება თვალიდან;
- ბ.ჰ⁸) კონიუნქტივის ირიგაცია და დეკონტამინაცია;
- ბ.ჰ⁹) უცხო სხეულის ამოღება გარეთა სასმენი მილიდან;
- ბ.ჰ¹⁰) უცხო სხეულის ამოღება ცხვირის ღრუდან;
- ბ.ჰ¹¹) უცხო სხეულის ამოღება შორისიდან;
- ბ.ჰ¹²) უცხო სხეულის ამოღება რბილი ქსოვილებიდან;
- ბ.ჰ¹³) ეპისტაქსის მართვა;
- ბ.ჰ¹⁴) ტრაქეოსტომური მილის ჩადგმა და ამოღება/შეცვლა;
- ბ.ჰ¹⁵) გასტროსტომიული მილის შეცვლა;
- ბ.ჰ¹⁶) ნაზოგასტრალური ზონდის ჩადგმა;
- ბ.ჰ¹⁷) კუჭის ლავაჟი;
- ბ.ჰ¹⁸) ნაწლავის დეკონტამინაცია;
- ბ.ჰ¹⁹) ინტრააბდომინური პარაცენტეზი;
- ბ.ჰ²⁰) შარდის ბუშტის კათეტერიზაცია;
- ბ.ჰ²¹) დიაგნოსტიკური პერიტონეალური ლავაჟი;
- ბ.ჰ²²) სუპრაპუბიკური ცისტოსტომია;
- ბ.ჰ²³) რეტროგრადული ურეთროგრაფია და ცისტოგრაფია;

- ბ.3²⁴) პაციენტის შეფასება გლაზგოს კომის შკალით;
- ბ.3²⁵) ლუმბალური პუნქცია;
- ბ.3²⁶) სუბდურული პუნქცია;
- ბ.3²⁷) ვენტრიკულური პუნქცია;
- ბ.3²⁸) დამწვრობითი ჭრილობის დამუშავება/მოვლა;
- ბ.3²⁹) აბსცესის გაკვეთა და დრენირება;
- ბ.3³⁰) ჭრილობის გაკერვა და დამუშავება.